მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება №14

ს. წეროვანი

11.11.2019 წელი

ერთის მხრივ, სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის N2 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი **დირექტორის ქალბატონი ეთერი ჩიხლაძის** სახით და მეორეს მხრივ, **ი/მ „ედგარ ალექპეროვის“** , (შემდგომში - მიმწოდებელი) სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების **საგანია: სამი კატრიჯის დამუხტვა (CPV 30200000)** ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

მომსახურების საერთო **ღირებულება შეადგენს 40,00 (ორმოც) ლარს** და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან (ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების მიღების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი მცხეთის რაიონი ,სოფელი წეროვანი

4.2. მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება

შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა. კერძოდ:

1. 2 კატრიჯის დამუხტვა

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

1.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლის დირექტორი **ეთერი ჩიხლაძე**

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 12. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლა ს/კ 236059251 მის. : მცხეთა , სოფელი წეროვანი ტელ: 577 97 11 12 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE85LB0121141510630000 GE დირექტორი ეთერი ჩიხლაძე	მიმწოდებელი: ი/მ ედგარ ალექპეროვი ს/კ 01013028912 მის.: ქ. თბილისი ტელ.: 579 555 672 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,თიბისი ბანკი" ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE75TB7240145063600022 „ი/მ ედგარ ალექსპეროვი" ..... (ხელმოწერა)

მიღება - ჩაბარების აქტი № 175

თარიღი 11 11 2019 წ

ჩვენ, ერთის მხრივ ი.მ ედგარ ალექპეროვი (შემდგომში შემსრულებელი) ხოლო, მეორეს მხრივ - [illegible] (შემდგომში დამკვეთი) ვადასტურებთ, რომ შესრულებულია/მიწოდებულია შემდეგი სახის განსაზღვრული საქონელი/მამსახურებანი: მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარი ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

დამკვეთის მისამართი: [illegible] ტელ:________

საიდენთიფიკაციო კოდი: 236 059 251

პროდუქცია	განსზ. გრ.	შესრ სამუშაოს დასახელება/მოდელი	რაოდენობა	ფასი	თანხა
[illegible]	130	12	2	20	40

საქმიანობა შეიცავს მომსახურებას - კარტრიჯის დამუხტვა /აღდგენა

გთხოვთ თანხა გადარიცხოთ 2 სამუშაო დღის განმავლობაში

გადახდის ტიპი - ნაღდი /(უნაღდო) თანხა 40 [illegible] ლარი

„ ი.მ ედგარ ალექპეროვი"

ქ.თბილისი ვარკეთილი 3. მე4 მკ/რნ კ N414, ბ-246

ს/კ - 0 1 0 1 3 0 2 8 9 1 2

TBC ბანკი- კოდი: TBCBGE22

ა/ა **GE75TB7240145063600022** GEL

შემსრულებლის ხელმოწერა________ დამკვეთის ხელმოწერა________

edysopy@gmail.com

მობ: 579 555 672

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

წეროვანი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ვადასტურებთ, რომ სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N2 საჯარო სკოლის და სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით ხელშეკრულებაში მითითებული მომწოდებელი „ი/მ. ედგარ ალექპეროვი“ ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N2 საჯარო

სკოლის დირექტორი

ეთერი ჩიხლაძე

„ი/მ. ედგარ ალექპეროვი“

ედგარ ალექპეროვი